საკონკურსო კომისიის დებულება

1. ზოგადი დებულება

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N79 დადგენილებით დამტკიცებული 2024 წელს მოქმედი ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის" ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელებას.

კომისიის საქმიანობის წესს და გამარჯვებული პროექტების გამოვლენას.

1.2. კომისიის საქმიანობის წესს /დებულებას/ ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საკონკურსო პროექტის მიზანი

2.1 ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N79 დადგენილებით დამტკიცებული 2024 წელს მოქმედი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის" ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს დასაქმებას, განათლებას, სოციალური მეწარმეობის განვითარებას.

აღნიშნული ქვეპროგრამა საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა სხვებთან თანასწორ პირობებში.

3. კონკურსის ორგანიზება და ჩატარების პირობები

3.1. კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული სოციალურ საკითხთა სამსახური.

3.2. განაცხადების მიღებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას.

3.3. კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება სავალდებულოა ყველასათვის.

4.კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება

4.1. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

4.2. კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური.

4.3. კომისია შედგება 12 (თორმეტი) წევრისგან.

4.4. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4.5. კომისის თავმჯდომარე უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით. მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

4.6. კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

4.7. კომისის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

4.8. კომისიის წევრს არ აქვს უფლება კონკურსში მონაწილეობის მიზნით, წარადგინოს პროექტი/პროექტები.

4.9. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4.10. კომისია გამოავლენს გამარჯვებულ კონკურსანტს/კონკურსანტებს, მერის ბრძანებით დამტკიცებული დანართი N2 -ის შესაბამისად.

4.11. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა.

4.12. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

5. კომისიის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

კომისიის წევრები თავის საქმიანობას ახორციელებენ სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ.

6. დებულების შეცვლა

წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

7. დებულების მოქმედების ვადა

კომისიის წინამდებარე დებულება ძალაშია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანების დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კომისიის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
212721170